

საქართველოს კანონი

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997, გვ. 126) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლს დაემატოს „ზ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ზ. „ვაუჩერი“ - სახელმწიფოს მიერ მიზნობრივი ჯგუფისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილია სამედიცინო მომსახურების ან პირადი დაზღვევის (სოცოცხლე და/ან ჯანმრთელობა) დასაფინანსებლად;“.

2. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19.

1. სახელმწიფო დაფინანსებით მიზნობრივი ჯგუფისათვის სამედიცინო მომსახურება ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით ან სამედიცინო ვაუჩერის გზით.

2. სახელმწიფო დაფინანსებით მიზნობრივი ჯგუფის პირადი დაზღვევა (სოცოცხლე და/ან ჯანმრთელობა) ხორციელდება სადაზღვევო ვაუჩერის გზით.

3. ვაუჩერის განაღდება და განაღდებასთან დაკავშირებული ოპერაციები არ წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვას.

4. ვაუჩერის მესაკუთრე შეიძლება იყოს პირი ან პირთა წრე (ოჯახი, თემი და სხვ.). არასრულწლოვანი პირის უფლებების რეალიზაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ვაუჩერის მესაკუთრეს, ამ ვაუჩერის პირობების შესაბამისად, აქვს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის ან სადაზღვევო ორგანიზაციის თავისუფალი არჩევის უფლება.

6. სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ მიღებული ვაუჩერი უთანაბრდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სადაზღვევო შესატანს.

7 კანონმდებლობით განისაზღვრება გონივრული ვადა, რომლის გაშვებისას სადაზღვევო ორგანიზაციის შეურჩევლობის შემთხვევაში, შერჩევა (გამოვლენა) შეიძლება განხორციელდეს ვაუჩერის პირობებით.

8. იმ სადაზღვევო ორგანიზაციების გამოვლენა, რომლებიც ეთანხმებიან ვაუჩერის პირობებს, ხორციელდება ამ ორგანიზაციების მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე, ვაუჩერის პირობებით განსაზღვრული წესით.

9. ერთნაირი ვაუჩერით ვაუჩერის ბენეფიციარები მომსახურებას იღებენ თანაბარი პირობებით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

10. განკარგული ვაუჩერის განაღდება ხორციელდება ვაუჩერის წარმდგენ ორგანიზაციებზე თანხის გადაცემის გზით.

11. ვაუჩერის პირობები (მათ შორის, ორგანიზაციების ნების გამოხატვის, ვაუჩერის გაცემის წესი, სამედიცინო მომსახურების ნუსხა, ვაუჩერის ღირებულება, აგრეთვე სამედიცინო ვაუჩერის გამოყენებასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ) განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და საქართველოს კანონით.

3. 132-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ორსული ქალების სამედიცინო მეთვალყურეობას, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი სამედიცინო დახმარება უზრუნველყოფილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“

4. XXVI თავს დაემატოს 154² მუხლი შემდეგი რედაქციით:

მუხლი 154².

2007 წლის 1 ივლისიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კანონი „სამედიცინო დაზღვევის შესახებ“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი